საქართველო Heritage Foundation-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

შინაარსი

ძირითადი მიგნებები 3

შესავალი 4

- რა არის ეკონომიკური თავისუფლება? 4

საქართველო ეკონომიკური თავისუფლების 2025 წლის ინდექსში 5

- კანონის უზენაესობა 7
- მთავრობის ზომა 10
- რეგულირების ეფექტიანობა 12
- ღია ბაზრები 15

დასკვნა 18

ძირითადი მიგნებები

- 2025 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში საქართველოს ქულამ 69 შეადგინა - შედეგად ქვეყანა კვლავ "ზომიერად თავისუფალი" სტატუსის ქვეყნების სიაშია.

- 2013-2022 წლების ინდექსში საქართველო **"უმეტესად თავისუფალი"** ეკონომიკის მქონე ქვეყნის სტატუსს იკავებდა (ყველაზე მაღალი შეფასება 2021 წელს 77.2), ხოლო 2023-2025 წლებში "ზომიერად თავისუფალი" ქვეყნების რიგებში ჩამოქვეითდა და სარეიტინგო ქულით დაახლოებით 2012 წლის შედეგს გაუთანაბრდა.

- 2025 წელს მსოფლიოს მასშტაბით ქვეყანა 34-ე ადგილს, ხოლო ევროპის ქვეყნებს შორის მე-19 ადგილს იკავებს. მაშინ როდესაც, მაგალითად 2021 წელს მსოფლიო რეიტინგში მე-12, ხოლო ევროპაში მე-7 ადგილზე იყო.

- საქართველოს 2025 წლის ინდექსში "თავისუფალი" სტატუსი მხოლოდ ორ ქვეკომპონენტში - "საგადასახადო ტვირთი", "სავაჭრო თავისუფლება" - აქვს. მთავრობის სანდოობისა და სასამართლო ეფექტურობის მიმართულებით კი ქვეყანა უმეტესად არათავისუფალი სტატუსით არის შეფასებული.

- ინვესტიციების თავისუფლების კრიტერიუმში საქართველოს 2008-2013 წლებში უმეტესად თავისუფალის, ხოლო 2014 წლიდან 2024 წლამდე პერიოდში მუდმივად "თავისუფალი" ქვეყნის სტატუსი ჰქონდა, თუმცა 2025 წლის რეიტინგში ქვეყნის ქულა მკვეთრად გაუარესდა (-20 ქულა) და ქვეყანამ "ზომიერად თავისუფალი" ქვეყნების სიაში გადაინაცვლა.

- სასამართლო ეფექტურობის კრიტერიუმით საქართველო 2017 წლიდან ფასდება და 9 წლიან პერიოდში "ზომიერად თავისუფალი" ქვეყნების სიაში მხოლოდ სამჯერ (2017, 2018,2023) მოხვდა. 2025 წლის შეფასება კი 11.2 ქულით ჩამოუვარდება 2017 წლის მონაცემს და უმეტესად არათავისუფალი სტატუსი აქვს.

შესავალი

Heritage Foundation-ის მონაცემებით, საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, 2025 წელს, 69 ქულას შეადგენს, რაც ქვეყანას მსოფლიოს 184 ქვეყანას შორის 35-ე ადგილზე აყენებს და ევროპის რეგიონში მე-19 პოზიციაზე. ეს მაჩვენებელი აღემატება როგორც გლობალურ, ასევე რეგიონულ საშუალო მაჩვენებლებს, რაც მიუთითებს ქვეყნის ეკონომიკის "ზომიერად თავისუფალ" სტატუსზე.

“მიუხედავად გარე და პოლიტიკური გამოწვევებისა, საქართველოს ეკონომიკა სტაბილურად ვითარდება. რეგულატორული ეფექტიანობის გაუმჯობესებისკენ მიმართული რეფორმები და ღია საბაზრო პოლიტიკა ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. თუმცა, ინსტიტუციური სისუსტეები კვლავ მოითხოვს უფრო მტკიცე რეფორმებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მდგრადი განვითარება და ეკონომიკური თავისუფლების შემდგომი ზრდა” - ასე აღწერს Heritage Foundation-ი საქართველოს ეკონომიკის ზოგად თავისუფლებას.

რა არის ეკონომიკური თავისუფლება?

ეკონომიკურ თავისუფლებას Heritage Foundation-ი შემდეგნაირად ახასიათებს: *ეკონომიკური თავისუფლება თითოეული ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა, აკონტროლოს საკუთარი შრომა და ქონება. ეკონომიკურად თავისუფალ საზოგადოებაში, ინდივიდებს აქვთ შესაძლებლობა, იმუშაონ, აწარმოონ, მოიხმარონ და დააბანდონ საკუთარი რესურსები ისე, როგორც სურთ. ასეთ საზოგადოებებში მთავრობები უზრუნველყოფენ შრომის, კაპიტალისა და საქონლის თავისუფალ მოძრაობას და თავს იკავებენ ჩარევისა და იძულებითი რეგულაციებისგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია თავად თავისუფლების დასაცავად და შესანარჩუნებლად.*

ეკონომიკური თავისუფლება იზომება 12 რაოდენობრივი და ხარისხობრივი ფაქტორით, რომლებიც ოთხ ძირითად კატეგორიად, ანუ ეკონომიკური თავისუფლების "სვეტებად" არის დაყოფილი:

1. კანონის უზენაესობა - საკუთრების უფლება, ხელისუფლების მთლიანობა, სასამართლო ეფექტურობა;
2. მთავრობის ზომა - სახელმწიფო ხარჯები, საგადასახადო ტვირთი, ფისკალური მდგრადობა
3. რეგულირების ეფექტიანობა - ბიზნესის თავისუფლება, შრომის თავისუფლება, მონეტარული თავისუფლება;
4. ღია ბაზრები - სავაჭრო თავისუფლება, ინვესტიციების თავისუფლება, ფინანსური თავისუფლება.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ყველა კომპონენტს თანაბრად მნიშვნელოვნად მიიჩნევს.

ეკონომიკური თავისუფლების 2025 წლის ინდექსის ქულები ძირითადად ეფუძნება 2023 წლის მეორე ნახევრიდან 2024 წლის პირველ ნახევრამდე პერიოდის მონაცემებს. თუმცა, ზოგიერთი

კომპონენტის ქულა ეფუძნება ისტორიულ ინფორმაციას. მაგალითად, მონეტარული თავისუფლების კომპონენტი იყენებს ინფლაციის სამწლიან საშუალო შეწონილ მაჩვენებელს 2021 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე.

ვისთვის არის ინდექსი განკუთვნილი?

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი არის დამხმარე ინსტრუმენტი სხვადასხვა აუდიტორიისთვის, მათ შორის მეცნიერებისთვის, პოლიტიკის შემქმნელებისთვის, ჟურნალისტებისთვის, სტუდენტებისთვის, ბიზნესისა და ინვესტორებისთვის.

რომელ წყაროებს ეყრდნობა Heritage Foundation?

ინდექსის შედგენისას ორგანიზაცია ეყრდნობა როგორც რაოდენობრივ, ასევე კომპოზიტიურ საზომებს. რაოდენობრივი მონაცემებისთვის Heritage Foundation ეყრდნობა ისეთ წყაროებს როგორებიცაა: მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ქვეყნების ოფიციალური უწყებების მონაცემები, ქვეყნის ანალიტიკური ორგანიზაციების მონაცემები, გაეროს, "საერთაშორისო გამჭვირვალობისა" და სხვა ორგანიზაციების მონაცემები.

საქართველო ეკონომიკური თავისუფლების 2025 წლის ინდექსში

საქართველოში ეკონომიკურ თავისუფლებას heritage Foundation-ი 1996 წლიდან აფასებს. 30 წლის განმავლობაში ქვეყანა იყო როგორც "რეპრესირებული", ასევე „უმეტესად არათავისუფალი", „ზომიერად თავისუფალი" და „უმეტესად თავისუფალი" ქვეყნების სიაში, თუმცა სრულად „თავისუფალი" ეკონომიკის სტატუსი ქვეყანას არ ჰქონია. 2022 წლის შემდგომ, ქვეყნის ქულა მნიშვნელოვნად გაუარესდა და ქვეყანამ „ზომიერად თავისუფალი" ქვეყნების სიაში გადაინაცვალა, თუმცა აღსანიშნია ისიც, რომ კოვიდ პანდემიის შემდგომ, რეიტინგში სტაგნაცია არაერთმა ქვეყანამ განიცადა. 2025 წლის ინდექსში საქართველოს ქულა მცირედით - 0.6-ით გაუმჯობესდა და 69 შეადგინა - შედეგად ქვეყანა კვლავ "ზომიერად თავისუფალი" სტატუსისს ქვეყნების სიაშია. **2021 წელთან შედარებით, როდესაც საქართველო "უმეტესად თავისუფალი" ეკონომიკის მქონე ქვეყნის სტატუსს იკავებდა, სარეიტინგო ქულა 8.2-ით არის შემცირებული.**

საქართველოს ინდექსში "თავისუფალი" სტატუსი მხოლოდ ორ ქვეკომპონენტში - "საგადასახადო ტვირთი", "სავაჭრო თავისუფლება" - აქვს. "უმეტესად თავისუფალი" სტატუსი ქვეყანას სამ ქვეკრიტერიუმში აქვს - "ბიზნესის თავსუფლება", "მთავრობის ხარჯები" და "ფისკალური სიჯანსაღე". ხუთ ქვეკრიტერიუმში საქართველოს "ზომიერად თავისუფალი" ქვეყნის სტატუსი აქვს - "საკუთრების უფლება", "მონეტარული თავისუფლება", "შრომის თავისუფლება", "ინვესტიციების თავისუფლება", "ფინანსური თავისუფლება". ო**რი ქვეკრიტერიუმის შემთხვევაში კი "უმეტესად არათავისუფალის" - კერძოდ "მთავრობის სანდოობისა" და "სასამართლო ეფექტურობის" მიმართულებით.**



ბოლო წლებია მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში საქართველო მნიშვნელოვან ჩამოქვეითებას განიცდის - თუკი 2025 წელს მსოფლიოს მასშტაბით ქვეყანა 34 ადგილზეა, 2021 წელს 12-ე ადგილზე იყო. 2025 წელს საქართველო ეკონომიკური თავისუფლებით 2012 წლის მაჩვენებელზე დაბრუნდა.



წინა წელთან შედარებით, უცვლელია საქართველოს პოზიცია ევროპის რეგიონის ქვეყნებს შორის და ის მე-19 ადგილს იკავებს, თუმცა მაგალითად 2020-2021 წლებში ქვეყანა მე-7 ადგილზე იყო, 2017 წელს კი მე-5-ე ადგილზე. ევროპის რეგიონს მასშტაბით 2010 წელსაც საქართველოს უკეთესი შედეგი ჰქონდა ვიდრე 2025 წელს.



კანონის უზენაესობა

აღნიშნული კრიტერიუმი აერთიანებს: საკუთრების უფლებას, სასამართლოს ეფექტურობას და მთავრობის სანდოობას. აქედან 1 ქვეკრიტერიუმის - საკუთრების უფლების კუთხით საქართველოს ქულა წინა წელთან შედარებით გაუმჯობესდა. სასამართლო ეფექტურობის მიმართულებით კი მონაცემი ფაქტიურად უცვლელია (+0.5 ქულა).

- **საკუთრების უფლება**

საკუთრების უფლებების კომპონენტი აფასებს იმას, თუ რამდენად ეფექტიანად უზრუნველყოფს ქვეყნის სამართლებრივი ჩარჩო კერძო პირებს ქონების შეძენის, ფლობისა და გამოყენების შესაძლებლობას და რამდენად მყარად არის ეს უფლებები დაცული მოქმედი კანონმდებლობით. შეფასება ეფუძნება როგორც კვლევებს, ასევე დამოუკიდებელ ანალიზებს და წარმოადგენს რაოდენობრივ საზომს იმისა, თუ რამდენად იცავს ქვეყნის კანონები კერძო

საკუთრების უფლებას. ასევე ითვალისწინებს სახელმწიფო ექსპროპრიაციის რისკს და აფასებს კერძო საკუთრების სახელმწიფო ექსპროპრიაციის დონეს. რაც უფრო ეფექტურია საკუთრების სამართლებრივი დაცვა, მით უფრო მაღალი იქნება ქვეყნის ქულა და რაც უფრო დიდია სახელმწიფოს მიერ ქონების ექსპროპრიაციის შანსი, მით უფრო დაბალი იქნება ქვეყნის ქულა.

საკუთრების უფლებების ქულა განისაზღვრება სამი თანაბარწონიანი ქვეკომპონენტის საშუალო მაჩვენებლით:

- ექსპროპრიაციის რისკი,
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა,
- კონტრაქტების აღსრულების, ქონებრივი უფლებებისა და სამართალდამცავი სისტემის ხარისხი.

საქართველოს შეფასება

წინა წელთან შედარებით საქართველოს შეფასება 9 ქულით გაუმჯობესდა და 62.3 შეადგინა. შედეგად ქვეყანამ საკუთრების დაცვის კუთხით "ძირითადად არათავისუფალი" ქვეყნებიდან "ზომიერად თავისუფალი" ქვეყნების კატეგორიაში გადაინაცვლა.

- **სასამართლო ეფექტურობა**

კომპონენტი აფასებს, თუ რამდენად იცავს არსებული საკანონმდებლო ბაზა მოქალაქეებს და რამდენად ეფექტურად ხდება მათი აღსრულება.

კომპონენტის ქულა გამოითვლება სამი თანაბარწონიანი ქვეფაქტორის საშუალო მაჩვენებლის საფუძველზე:

- სასამართლოს დამოუკიდებლობა,
- სასამართლო პროცესის ხარისხი,
- საჯარო სერვისების ხარისხისა და საჯარო სამსახურის დამოუკიდებლობის აღქმა.

საქართველოს შეფასება

აღნიშნულ კრიტერიუმში საქართველოს შეფასება მხოლოდ 2017 წლიდან არის ხელმისაწვდომი, როდესაც ქვეყანა 66.5 ქულით "ზომიერად თავისუფალი" ქვეყნების კატეგორიაში იყო. თუმცა, 2019 წელს ქვეყანამ "ძირითადად არათავისუფალი" ქვეყნების კატეგორიაში გადაინაცვლა. გასულ წელთან შედარებით, საქართველოს ქულა თითქმის იმავე ნიშნულზე შენარჩუნდა და მხოლოდ 0.5-ით გაუმჯობესდა. შედეგად ის კვლავ "ზომიერად არათავისუფალი" ქვეყნების სიაშია. აღსანიშნავია ისიც, რომ შეფასების 9 წლიან პერიოდში საქართველო "ზომიერად თავისუფალი" ქვეყნების სიაში მხოლოდ სამჯერ მოხვდა. 2025 წლის შეფასება კი 11.2 ქულით ჩამოუვარდება 2017 წლის მონაცემს.



- **მთავრობის სანდოობა**

კატეგორია აფასებს ქვეყანაში კორუფციის მაჩვენებელს, - კორუფცია მნიშვნელოვნად აზიანებს ეკონომიკურ თავისუფლებას – იგი იწვევს ფინანსურ გაურკვევლობასა და ზეწოლას ეკონომიკურ ურთიერთობებში.

მთავრობის მთლიანობის კომპონენტის ქულა გამოითვლება სამი თანაბარწონიანი ქვეფაქტორის საშუალო მაჩვენებლის საფუძველზე:

- კორუფციის აღქმა,
- ქრთამის რისკი,
- კორუფციის კონტროლი, მათ შორის სახელმწიფოს "მიტაცების" რისკი ელიტებისა და კერძო ინტერესების მიერ.

საქართველოს შეფასება

გასულ წელთან შედარებით, საქართველოს ქულა გაუარესდა და ქვეყანამ “ზომიერად თავისუფალი” ქვეყნების კატეგორიიდან “ძირითადად არათავისუფალი” ქვეყნების სიაში გადაინაცვლა. “მთავრობის სანდოობის” კატეგორია ძირითადად Transparency International-ის კორუფციის აღქმის ინდექსს ეყრდნობა. კორუფციის აღქმის 2024 წლის ინდექსში კი საქართველოს ქულა უცვლელი დარჩა - ის 53-ს შეადგენს 100 ბალიან შკალაზე, რაც 2015 წლის შემდგომ ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.



მთავრობის ზომა

აღნიშნული კრიტერიული აერთიანებს: საგადასახადო ტვირთს, მთავრობის ხარჯებსა და ფისკალურ სიჯანსაღეს. სამივე მათგანში საქართველომ წინა წელთან შედარებით ქულა გაიუმჯობესა.

“საგადასახადო ტვირთი მშპ-ს 23,9%-ს შეადგენს. სამწლიანი სახელმწიფო ხარჯები და საბიუჯეტო ბალანსის საშუალო მაჩვენებლები, შესაბამისად, მშპ-ს 30.0 პროცენტს და -3.6 პროცენტს შეადგენს. სახელმწიფო ვალი მთლიანი შიდა პროდუქტის 39,2 პროცენტია” - ძირითადად ამ მონაცემებს ეყრდონა Heritage Faundation-ის შეფასება საქართველოზე.

- **საგადასახადო ტვირთი**

საგადასახადო ტვირთი არის კომპოზიტური საზომი, რომელიც ასახავს ზღვრულ საგადასახადო განაკვეთებს როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ შემოსავალზე და დაბეგვრის საერთო დონეს მთლიანი შიდა პროდუქტის პროცენტულად.

კომპონენტის ქულა მიღებულია სამი თანაბრად შეწონილი რაოდენობრივი ქვეფაქტორიდან:

- ზედა ზღვრული განაკვეთი ინდივიდუალურ საშემოსავლო გადასახადზე;
- ზედა ზღვრული განაკვეთი იურიდიულ საშემოსავლო გადასახადზე;
- მთლიანი საგადასახადო ტვირთი მშპ-სთან მიმართებით.

საქართველოს შეფასება

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში გადასახადები მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით დაბალია, ისტორიულად ქვეყანა “საგადასახადო ტვირთის” ქვეკომპონენტში

“თავისუფალი” ქვეყნების სიაშია. წინა წელთან შედარებით ქვეყნის ქულა უცვლელად - 89.1-ზე შენარჩუნდა.

- **მთავრობის ხარჯები**

მთავრობის ხარჯების კომპონენტი აფასებს სახელმწიფო ხარჯვის შედეგად ეკონომიკაზე დაწესებულ ტვირთს, რაც მოიცავს სახელმწიფო მოხმარებასა და სხვადასხვა სოციალური პროგრამების ფარგლებში განხორციელებულ საბიუჯეტო ტრანსფერებს.

ინდექსი არ განსაზღვრავს სახელმწიფო ხარჯვის ოპტიმალურ დონეს, რადგან ის ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია და დამოკიდებულია კულტურულ, გეოგრაფიულ და ეკონომიკური განვითარების ფაქტორებზე. თუმცა, გარკვეულ ეტაპზე, სახელმწიფო ხარჯვა გარდაუვალ ბარიერად იქცევა, რადგან საჯარო სექტორის ზომისა და ფუნქციების ზრდა რესურსების არაეფექტიან განაწილებას და ეკონომიკური ეფექტიანობის შემცირებას იწვევს.

ინდექსის მეთოდოლოგია განიხილავს ნულოვან სახელმწიფო ხარჯებს, როგორც ეტალონს. შედეგად, ნაკლებ განვითარებულმა ქვეყნებმა, განსაკუთრებით მცირე სამთავრობო შესაძლებლობების მქონე ქვეყნებმა, შესაძლოა ხელოვნურად მაღალი ქულები მიიღონ. თუმცა ქვეყნები, რომლებიც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, მაღალი სოციალური ხარჯვით გამოირჩევიან, შესაძლოა “რეპრესირებული” ქვყნების სიაში მოხვდნენ - ისევე როგორც მაგალითად გერმანია, რომელიც ისტორიულად აღნიშნულ ქვეკრიტერიუმში “რეპრესირებულის” სტატუსს ინარჩუნებს.

საქართველოს შეფასება

ქვეყნის ქულა წინა წელთან შედარებით, 3.3-ით გაუმჯობესდა და 72.9 შეადგინა. შედეგად ქვეყანამ “ზომიერად თავისუფალი” ქვეყნების სიიდან “ უმეტესად თავისუფალი” ქვეყნების სიაში გადაინაცვლა.



- **ფისკალური მდგრადობა**

სახელმწიფო ბიუჯეტის მართვის არაეფექტიანობა, რომელიც იწვევს მზარდ დეფიციტსა და ასევე მზარდ ვალის ტვირთს, საბოლოოდ ფისკალური მდგრადობის შესუსტებას იწვევს. ფისკალური მდგრადობის გაუარესება კი მაკროეკონომიკურ არასტაბილურობასა და ეკონომიკურ გაურკვევლობას უკავშირდება. თეორიულად, სახელმწიფო ვალის საშუალებით დაფინანსებულმა ხარჯებმა შეიძლება ხელი შეუწყოს პროდუქტიულ ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდას. თუმცა, მუდმივი ბიუჯეტის დეფიციტისა და სამთავრობო ხარჯების ზრდით გამოწვეული ვალის დაგროვება—განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ხარჯები მხოლოდ მთავრობის მოხმარებისა და სოციალური გადარიცხვების გაზრდას ემსახურება—წინააღმდეგობრივად მოქმედებს პროდუქტიულობის ზრდაზე და ეკონომიკურ სტაგნაციას იწვევს.

ფისკალური მდგრადობის კომპონენტის ქულა გამოითვლება ორი ძირითადი ქვეფაქტორის საფუძველზე, შემდეგი პროპორციით:

- ბიუჯეტის საშუალო დეფიციტი (მშპ-სთან მიმართებით) ბოლო სამი წლის განმავლობაში – 80%
- სახელმწიფო ვალის მოცულობა (მშპ-სთან მიმართებით) – 20%

საქართველოს შეფასება

ფისკალური სიჯანსაღის ქვეკომპონენტში საქართველოს მონაცემები 2017 წლიდან არის ხელმისაწვდომი. **2021 წლამდე ქვეყანა "თავისუფალი" სტატუსით სარგებლობდა, 2023-2024 წლებში კი "რეპრესირებული" ქვეყნების სიაში იყო.** 2024 წლის რეიტინგში ქვეყანამ "ძირითადად თავისუფალი" ქვეყნების სიაში გადაინაცვლა, რაც ქვეყნის მშპ-ს ზრდით და ახალი სამთავრობო ვალების აღების შემცირებით აიხსნება.

რეგულირების ეფექტიანობა

აღნიშნული კრიტერიული აერთიანებს: ბიზნესის თავისუფლებას, შრომის თავისუფლებას და მონეტარულ თავისუფლებას. წინა წელთან შედარებით საქართველოს ქულა მხოლოდ მონეტარული თავისუფლების ქვეკრიტერიუმში გაუარესდა.

"საქართველოს საერთო მარეგულირებელი გარემო შედარებით კარგად არის ინსტიტუციონალიზებული, მაგრამ მოკლებულია ეფექტურობას. ქვეყნის ბიზნესის თავისუფლების ქულა მსოფლიო საშუალოზე მაღალია; მისი შრომის თავისუფლების ქულა აღემატება მსოფლიო საშუალო მაჩვენებელს; და მისი მონეტარული თავისუფლების მაჩვენებელი მსოფლიო საშუალოზე დაბალია", - ასე აფასებს Heritage Foundation საქართველოს.

ბიზნესის თავისუფლება

ბიზნესის თავისუფლების კომპონენტი აფასებს, თუ რამდენად ზღუდავს ქვეყნაში არსებული რეგულაციები და ინფრასტრუქტურული გარემო ბიზნესის ეფექტიან ფუნქციონირებას. ბიზნესის თავისუფლების რაოდენობრივი ქულა ეფუძნება ბიზნესის გახსნის, ფუნქციონირებისა და დახურვის სიმარტივესა და სირთულეებს.

შეფასება ეფუძნება ოთხ თანაბარწონიან ქვეფაქტორს:

- ელექტროენერგიაზე ხელმისაწვდომობა,
- ბიზნესგარემოს რისკები,
- რეგულირების ხარისხი,
- ქალთა ეკონომიკური ჩართულობა.

საქართველოს შეფასება

ბიზნესის თავისუფლების ქვეკრიტერიუმში საქართველო 2007 წლიდან, 2022 წლამდე პერიოდში "თავისუფალ" სტატუსს ინარჩუნებდა. 2022, 2023 წლებში კი ქვეყნის პოზიცია უარესდებოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნის ქულა 2025 წლის რეიტინგში გაუმჯობესდა და 78.1 შეადგინა. შედეგად, ქვეყანა კვლავ "უმეტესად თავისუფალი" ქვეყნების ჩამონათვალში მოხვდა.

- **შრომის თავისუფლება**

შრომის თავისუფლების კომპონენტი წარმოადგენს რაოდენობრივ მაჩვენებელს, რომელიც აფასებს ქვეყნის შრომის ბაზრის სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოს სხვადასხვა ასპექტებს.

შრომის თავისუფლების ქულა ეფუძნება ცხრა თანაბარწონიან ქვეფაქტორს:

- მინიმალური ხელფასი,
- ასოციაციის უფლება,
- ანაზღაურებადი წლიური შვებულება,
- გაფრთხილების პერიოდი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ,
- თანამდებობიდან გათავისუფლების კომპენსაცია,
- შრომის პროდუქტიულობა,
- სამუშაო ძალის მონაწილეობის მაჩვენებელი,
- ზეგანაკვეთური სამუშაოს შეზღუდვა,
- დათხოვნის უფლება.

საქართველოს შეფასება

წინა წელთან შედარებით, საქართველოს ქულა მცირედით 0.5-ით გაუმჯობესდა და 63.5 შეადგინა. ამ მონაცემით ქვეყანა კვლავ "ზომიერად თავისუფალი" ქვეყნების რიგებშია. 2007-2014 წლებში ქვეყანა "თავისუფალ" სტატუსს ინარჩუნებდა, 2015-2021 წლებში "უმეტესად თავისუფალი" ქვეყნის სტატუსს, ბოლო ოთხი წელია კი ქვეყანა "ზომიერად თავისუფალი ქვეყნების სიაშია, რაც ძირითადად შრომის ახალ კოდექსს უკავშირდება, რომლითაც მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა ზევით მოყვანილ საკითხებთან დაკავშირებით. აქვე აღსანიშნავია, რომ განვითარებული ეკონომიკები ხშირად აღნიშნულ კრიტერიუმში დაბალი შეფასებით გამოირჩევიან - ასე მაგალითად გერმანია, რომელიც ისტორიულად ან "რეპრესირებული" ან "ძირითადად არათავისუფალი" ქვეყნების სიაშია.

- **მონეტარული თავისუფლება**

მონეტარული თავისუფლება აერთიანებს ინფლაციის დონეს და მთავრობის სხვადასხვა ქმედებების ანალიზს, რომლებიც ფასების ხელოვნურ ცვლილებას იწვევს.

მონეტარული თავისუფლების ქულა ეფუძნება ორ მთავარ ქვეფაქტორს:

- ბოლო სამი წლის საშუალო შეწონილი ინფლაციის მაჩვენებელი,
- მთავრობის მიერ ფასების მანიპულაციის ხარისხობრივი შეფასება (მათ შორის, სუბსიდიები და პირდაპირი კონტროლის გავლენა ფასებზე).

საქართველოს შეფასება

2003-2023 წლებში საქართველო აღნიშნულ ქვეკრიტერიუმში უმეტესად "ძირითადად თავისუფალი" ქვეყნების სიაში ხვდებოდა. (2015-2016 წლებში "თავისუფალი" ქვეყნების კატეგორიას მიეკუთვნებოდა), თუმცა ბოლო ორი წელია ქვეყანამ "ზომიერად თავისუფალი" ქვეყნების კატეგორიაში გადაინაცვლა. წინა წელთან შედარებით, ქვეყნის ქულა 4-ით გაუარესდა და 65.3 შეადგინა.



ღია ბაზრები

აღნიშნული კრიტერიული აერთიანებს: სავაჭრო თავისუფლებას, ინვესტიციების თავისუფლებას და ფინანსურ თავისუფლებას. წინა წელთან შედარებით საქართველოს ქულა ორ ქვეკრიტერიუმში გაუარესდა, „ფინანსური თავისუფლების“ კუთხით კი ქულა უცვლელი დარჩა.

“ვაჭრობის შეწონილი საშუალო ტარიფის მაჩვენებელი 1.9 პროცენტს შეადგენს, ხოლო ძალაშია 60-ზე მეტი არასატარიფო შეზღუდვა. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებაში მიღება გარკვეულ შეზღუდვებს ექვემდებარება. დაფინანსებაზე წვდომა გაუმჯობესდა მზარდ საბანკო სექტორში. კაპიტალის ბაზრები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა საფონდო ბირჟა კვლავ მცირე ზომისაა” - ასე აფასებს Heritage Foundation საქართველოს.

- **სავაჭრო თავისუფლება**

სავაჭრო თავისუფლება წარმოადგენს კომპოზიციურ მაჩვენებელს, რომელიც აფასებს სატარიფო და არასატარიფო ბარიერების გავლენას საქონლისა და მომსახურების იმპორტსა და ექსპორტზე.

სავაჭრო თავისუფლების ქულა ეფუძნება ორ ძირითად კომპონენტს:

- სავაჭრო ტარიფის საშუალო შეწონილი განაკვეთი,
- არასატარიფო ბარიერების (NTBs) ხარისხობრივი შეფასება.

არასატარიფო ბარიერები (NTBs) შეზღუდვებისა და რეგულაციების ფართო სპექტრს მოიცავს, მათ შორის:

- იმპორტის კვოტები, იმპორტ-ექსპორტის ემბარგოები და აკრძალვები, კონტრვაჭრობა და სხვა შეზღუდვები.
- უსაფრთხოებისა და სამრეწველო სტანდარტების რეგულაციები; შეფუთვის, ეტიკეტირების და სასაქონლო ნიშნის რეგულაციები; რეკლამის რეგულაციები.
- საბაჟო შეზღუდვები, საბაჟო გაფორმების პროცესები.
- მთავრობის პირდაპირი ჩარევა - სუბსიდიები და სხვა სახის სახელმწიფო დახმარება
- კონკურენციის პოლიტიკა, სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა, სახელმწიფო მონოპოლიები და ექსკლუზიური ფრანჩაიზები.

საქართველოს შეფასება

2009 წლიდან მოყოლებული, აღნიშნულ ქვეკრიტერიუმში საქართველოს “თავისუფალი” ქვეყნის სტატუსი აქვს. 2025 წლის რეიტინგში ქვეყნის ქულა მცირედით - 0.2 პუნქტით გაუარესდა, თუმცა 86.2 ქულით ქვეყანა კვლავ “თავისუფალი” ქვეყნების სიაშია.

- **ინვესტიციების თავისუფლება**

ეკონომიკურად თავისუფალ ქვეყანაში ინვესტიციური კაპიტალის მოძრაობა შეუზღუდავი უნდა იყოს. Heritage Foundation-ის მიიჩნევს, რომ ინდივიდებსა და კომპანიებს უნდა ჰქონდეთ სრული შესაძლებლობა, საკუთარი რესურსები გადაანაწილონ შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე ყოველგვარი რეგულაციური შეზღუდვების გარეშე. თუმცა, რეალობაში, ქვეყნების უმეტესობა ინვესტიციებზე სხვადასხვა შეზღუდვებს აწესებს. ზოგიერთ ქვეყანაში განსხვავებული წესები მოქმედებს უცხოური და შიდა ინვესტიციებისთვის. ზოგ შემთხვევაში, არსებობს შეზღუდვები უცხოური ვალუტის წვდომაზე, არის შემთხვევები როდესაც კონკრეტული ინდუსტრია სრულად დახურულია უცხოური ინვესტიციებისთვის.

ინვესტიციების შეზღუდვების შეფასების კრიტერიუმები:

- უცხოური ინვესტიციების რეგულაციები.
- ბიუროკრატია - გადაჭარბებულად რთული და არაადეკვატურად გაუმჭვირვალე.
- ქონების საკუთრების შეზღუდვები, მათ შორის უცხოელებისთვის.
- ინდუსტრიული სექტორების შეზღუდვები, მათ შორის უცხოელებისთვის.
- ინვესტიციების ექსპროპრიაცია სათანადო კომპენსაციის გარეშე.
- ვალუტის კონტროლი - უცხოურ ვალუტაზე წვდომის შეზღუდვა.
- კაპიტალის კონტროლი მთავრობის მხრიდან.
- არასაკმარისი საბაზისო ინფრასტრუქტურა.
- საკითხები, რომლებიც ინვესტორებში გაურკვევლობას ქმნის.

საქართველოს შეფასება

აღნიშნულ ქვეკრიტერიუმში საქართველოს 2014 წლიდან 2024 წლამდე პერიოდში მუდმივად "თავისუფალი" ქვეყნის სტატუსი ჰქონდა, თუმცა 2025 წლის რეიტინგში ქვეყნის ქულა მკვეთრად გაუარესდა (-20 ქულა) და ქვეყანამ "ზომიერად თავისუფალი" ქვეყნების სიაში გადაინაცვლა.



- **ფინანსური თავისუფლება**

ფინანსური თავისუფლება არის როგორც საბანკო ეფექტურობის მაჩვენებელი, ასევე მთავრობის კონტროლისა და ფინანსურ სექტორში ჩარევისგან დამოუკიდებლობის საზომი. Heritage Foundation-ი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ბანკები და სხვა ფინანსური ინსტიტუტები, როგორიცაა მაგალითად სადაზღვევო კომპანიები, ამცირებს კონკურენციას და აფერხებს საკრედიტო რესურსებზე ხელმისაწვდომობას.

Heritage Foundation-ის შეფასებით, იდეალური საბანკო და ფინანსური გარემო უნდა ხასიათდებოდეს მინიმალური სამთავრობო ჩარევით, სადაც:

- დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკი ზედამხედველობს ფინანსურ ინსტიტუტებს მხოლოდ კონტრაქტული ვალდებულებების აღსრულებისა და თაღლითობის პრევენციის მიზნით;
- კრედიტი გაიცემა საბაზრო პირობებით;
- სახელმწიფოს არ გააჩნია ფინანსური ინსტიტუტები;
- ფინანსური ორგანიზაციები თავისუფლად უზრუნველყოფენ სხვადასხვა სახის მომსახურებას როგორც კერძო პირებისთვის, ისე კომპანიებისთვის;
- ბანკებს აქვთ თავისუფლება გასცენ სესხები, მიიღონ დეპოზიტები და განახორციელონ ოპერაციები უცხოურ ვალუტაში;
- უცხოური ფინანსური ინსტიტუტები ფუნქციონირებენ თავისუფლად და ექვემდებარებიან იგივე წესებს, როგორც შიდა ინსტიტუტები.

საქართველოს შეფასება

2023-2024 წლებში საქართველოს სარეიტინგო ქულა არ შეცვლილა და ის 80-ს წარმოადგენდა. შედეგად ქვეყანა “ თავისუფალი” ქვეყნების რიგებში იყო. თუმცა 2025 წლის რეიტინგში ქვეყანამ 20 ქულა დაკარგა და “ზომიერად თავისუფალი” ქვეყნების სიაში გადაინაცვლა.



დასკვნა

2025 წლის ინდექსი აფასებს 184 ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკასა და მდგომარეობას. ინდექსის მიხედვით, გლობალური ეკონომიკა კვლავ "უმეტესად არათავისუფალია", საშუალო ეკონომიკური თავისუფლების ქულა კი 1.1 პუნქტით გაიზარდა და 59.7-ს მიაღწია. მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგით, 26 ქვეყანა კლასიფიცირებულია, როგორც "უმეტესად თავისუფალი" (70.0–79.9 ქულა). 58 ქვეყანა მიეკუთვნება "ზომიერად თავისუფალ" კატეგორიას (60.0–69.9 ქულა). მსოფლიოს ქვეყნების 50%-ზე მეტი (89 ქვეყანა) კვლავ "უმეტესად არათავისუფალია" ან "რეპრესირებული".

2025 წლის ინდექსში "თავისუფალი", "უმეტესად თავისუფალი" და "ზომიერად თავისუფალი" ქვეყნების მოსახლეობის საშუალო შემოსავალი ორჯერ აღემატება სხვა ქვეყნებში არსებულ მაჩვენებლებს და სამჯერ მაღალია, ვიდრე "რეპრესირებული" ეკონომიკის მქონე ქვეყნებში.

საქართველოს 2025 წლის ინდექსში ყველაზე ცუდი შედეგი “მთავრობის სანდოობისა” და “სასამართლოს ეფექტურობის” ქვეკომპონენტში აქვს, საშუალო ქულაზე ყველაზე დადებით გავლენას კი ისეთი რაოდენობრივი მონაცემები ახდენს როგორიცაა მაგალითად - “საგადასახადო ტვირთი” და “თავისუფალი ვაჭრობა”, ასევე “ფისკალური სიჯანსაღე”. აღსანიშნავია რომ “მთავობის სანდოობის” და “სასამართლოს ეფექტურობის” კრიტერიუმებში საქართველოს არასდროს ჰქონია “უმეტესად თავისუფალი” ან “თავისუფალი” ქვეყნის სტატუსი, რაც მიუთითებს რომ მიუხედავად ეკონომიკური პარამეტრების ლოგიკურ ზღვრებზე

შენარჩუნებისა, ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტები სუსტად განვითარებულია. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ 2025 წლის რეიტინგი 2024 წლის პირველი ნახევრის მონაცემებს ეყრდობა, რის შემდგომაც ქვეყანამ დემოკრატიის გზაზე არაერთი მიმართულებით ვარდნა განიცადა - საერთაშორისო თანამეგობრობამ დაასანქცირა მთავრობის წარომომადგენლები, საკანონმდებლო ორგანოს წევრები, ძალოვანი უწყებების წარმომადგენლები და მოსამართლეები; ხელისუფლებამ შეაჩერა ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი - აღნიშნულ ფაქტორებს კი მომდევნო წლის ინდექსში მნიშვნელოვანი გავლენა ექნება არარაოდენობრივი მონაცემების ფორმირებაზე. ასევე - ინდექსი არაერთი კრიტერიუმის ფორმირებაში უმაღლეს ქულას ანიჭებს ეკონომიკებს სადაც გარკვეული ტიპის საკითხები სრულად რეგულირების გარეშეა - ასე მაგალითად, “შრომის თავისუფლების” ქვეკომპონენტში ქვეყნის ქულა შრომის კანონმდებლობის მოწესრიგების პარალელურად გაუარესდა, მიუხედავად იმისა რომ დამსაქმებლისა და დასაქმებულის უფლებების განსაზღვრა და რეგულირება ქვეყანაში მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯად მოიაზრებოდა. სწორედ ამიტომ თავად ორგანიზაციაც მიუთითებს რომ არის შემთხვევები როდესაც ქვეყნის ქულა “ხელოვნურად” იზრდება ან მცირდება. საქართველოს მსგავსი მცირე ეკონომიკების ზრდისთვის კი ფისკალურ სიჯანსაღესთან ერთად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, რამაც ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინებას უნდა შეუწყოს ხელი. თუკი გავითვალისწინებთ საქართველოში FDI-ის არასახარბიელო მოცულობას, რთული სათქმელი იქნება რომ დღეს ინვესტორებს აქვთ განცდა რომ საჭიროების შემთხვევაში საქართველოში საკუთარი ინვესტიციის დაცვა და სასამართლოში “სიმართლის პოვნა” შესაძლებელია.